საბჭოთა საქართველო დიდი ზეიმის წინ

წინასაიუბილეო დღეთა მძლავრი მაჯისცემა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 მაისი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 102 (15012)

ევოლუციურს, ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს,
ვაშა შენებას!

გალაქტიონ ტაბიძე.

5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა

დღეს 5 მაისია — საბჭოთა პრესის ტრადიციული ზეიმი. ამ დღეს ჟურნალისტებთან ერთად სიხარულითა და კმაყოფილებით აღნიშნავს მკითხველთა მრავალმილიონიანი არმიაც, მთელი ჩვენი ხალხი. და ეს ბუნებრივიც არის. ლენინური ბეჭდვითი სიტყვის ძალა ხომ სწორედ ხალხთან მუდმივ კავშირშია!

წმინდად რომ ინახავს და ამრავლებს ლენინურ ტრადიციებს, სულ უფრო იზრდება, ვითარდება, სიტყვაფხიანი ხდება ჩვენი პრესა.

ბოლშევიკური პარტიის შექმნასა და მთელ მოღვაწეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პრესის გმირული ისტორიაც. დიდი ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და მისი გამარჯვების, საშოქალაქო ომის მძიმე წლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა თუ კოლექტივიზაციის გეგმების განხორციელებაში, დიდ სამამულო ომში და ომისშემდგომი ხუთწლედების პერიოდში მგზნებარე და მართალი ბოლშევიკური სიტყვა მუდამ იყო საბჭოთა ადამიანების ერთგული და ჭკვიანი თანამგზავრი.

წელს საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციულ დღესასწაულს აღვნიშნავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს ზეიმის წინადღეებში. და ეს ორმაგად არის საზეიმო. საბჭოთა საქართველოს წინსვლასა და აყვავებაში ცოტა როდია რესპუბლიკის პრესის — ლენინური ბეჭდვითი სიტყვის მებრძოლი ჯარისკაცების — ჭეშმარიტად სასახელო წვლილი.

ჩვენი ბრძოლის, შრომისა და მშენებლობის ამა თუ იმ ეტაპზე საბჭოთა პრესას მუდამ ჰქონდა მთავარი და წამყვანი თემა. ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავისი პარტიის ხელმძღვანელობით იღვწვის, ისწრაფვის წარმატებით განახორციელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მთელი საბჭოთა პრესისათვის, თვითეული ჟურნალისა და გაზეთისათვის არ არსებობს უფრო დიდი და პასუხსაგები საქმე ვიდრე პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა პროპაგანდა და მათი შესრულებისათვის მასების დარაზმვა.

საქმის წარმატება კი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პრესისადმი პარტიული ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებაზე, ისეთი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლებიც სულ უფრო მიზანსწრაფულს გახდიან თვითეულ კორესპონდენციას თუ სტატიას, თვითეულ საგაზეთო სტრიქონს.

სწორედ ამიტომ სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი, იზრუნონ მათი მუშაობის ქმედითობისა და ოპერატიულობისათვის, ჟურნალისტთა და პროპაგანდისტთა კადრების პოლიტიკური სიმწიფისა და ოსტატობის ამაღლებისათვის“.

როგორც პარტიის ყრილობისათვის მზადების დღეებში, ისე ახლა, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პრაქტიკული ბრძოლა გაჩაღდა, ქალაქად თუ სოფლად ყოველდღიურად გაისმის ჩვენი ბეჭდვითი ორგანოების მეტად სერიოზული, საქმიანი ტონი.

სხვადასხვა თემები, პრობლემები, ავტორები... ახალი საკითხების დაყენება, შემოქმედება, ძიება. ამ და ჟურნალისტური მოღვაწეობის სხვა მრავალფეროვნებაში თვალნათლივ მოჩანს დღევანდელი ცხოვრება საბჭოთა პრესისა, რომელიც ყოველმხრივ მზად არის შეასრულოს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. სულ უფრო ღრმავდება პრესის კავშირი პარტიასა და ხალხის მიმდინარე საქმეებთან, ძლიერდება მისი ზრუნვა ხვალინდელი დღისათვის.

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოებში, საქართველოს რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ და მრავალტირაჟიან გაზეთებში მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა რუბრიკამ: „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“! სპეციალურ გვერდებსა თუ განყოფილებებში მოთავსებული წერილები, სტატიები და კორესპონდენციები საინტერესოდ მოგვითხრობენ მეცხრე ხუთწლიდის გეგმების ამოცანებზე, ამ გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში თვითეული მუშის, კოლმეურნისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენლის როლზე. წერილების ავტორები — ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის მუშაკები — ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე აყენებენ სასარგებლო წინადადებებს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ბჭობენ, კამათობენ დიდ პრობლემებზე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებმა, რომლებიც მუდამ ბოლშევიკური პრესის ტრადიციების ერთგულნი არიან, ახლაც, სწორედ ამ დიდი და საპატიო თემების გაშუქებისას, გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფე და საქმის სიყვარული. მათი გამოსვლები უმნიშვნელოვანეს თემებზე უფრო ღრმა და მიზანსწრაფული ხდება, თითქმის ყოველდღიური საგაზეთო ტრიბუნა მიეცა სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა წერილებს, რომლებშიც მკითხველები უზიარებენ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს კომუნისტთა დიდი ფორუმის მუშაობაზე, გამოთქვამენ საკუთარ აზრებს, ლაპარაკობენ შრომის, შემოქმედების მომავალ გეგმებზე. „სკკპ ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“, „პარტიის გეგმები მოგვიწოდებენ“, „ყრილობის დელეგატის ტრიბუნა“, „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“ და სხვა რუბრიკები თუ საერთო ანშლაგები ყრილობის დამთავრებისთანავე გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი საქმისა. მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მთავარი სამუშაო წინ არის, რომელიც სავსე უნდა იყოს ახალი შემოქმედებითი წვლილი და ძიებით. სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი რაიონული თუ მრავალტირაჟიანი გაზეთი ერთ ადგილს ტკეპნის, ვერ აღწევს საგაზეთო მასალების მაღალ შინაარსს და მკითხველისათვის მის საინტერესოდ მიწოდებას.

საჭიროა ყოველდღიურად ვალრმავებდეთ გამოქვეყნებული მასალების შინაარსს, ვიყენებდეთ სხვადასხვა ჟანრებს, საკითხების გაშუქების უფრო ქმედით ფორმებს.

სკკპ ყრილობის მასალების პროპაგანდას რომ ეწევიან, ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, პარტიული ცხოვრებისა და სხვა საკითხების გაშუქებას.

ჩვენი პარტია, რომელიც უდიდეს მზრუნველობას იჩენს ბეჭდვითი სიტყვისადმი, ამასთანავე მოითხოვს, რომ საბჭოთა ჟურნალისტი მუდამ ღრმად სწვდებოდეს ცხოვრებას, იმაღლებდეს ფილოსოფიურ-პოლიტიკური მომზადების დონეს, სრულყოფდეს პროფესიულ ოსტატობას, იდგეს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე.

მოგილოცავთ, თანამოქალაქენო!



ვ. ი. ლენინი ესაუბრება მუშა კორესპონდენტებს გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში (1917 წ.).

ნახატი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ვასილიევისა.

ზრდის ციფრები

□ **საბჭოთა** კავშირში ახლა გამოდის ცხრა ათასამდე გაზეთი, რომელთა საერთო ერთჯერადი ტირაჟი 140 მილიონ ცალს აღემატება, დაახლოებით 6 ათასი ჟურნალი და ჟურნალის ტიპის გამოცემა, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 156 მილიონ ცალს აღემატება. 1965-1970 წლებში გაზეთების ტირაჟი გაიზარდა 39,5 პროცენტით, ჟურნალებისა კი გაიზარდა 77,5 პროცენტით.

□ **მილიონობით** ტირაჟით გამოდის სსრ კავშირის ცენტრალური გაზეთები და ჟურნალები. მაგალითად, 1971 წელს „პრავდის“ საშუალო-წლიურმა ერთჯერადმა ტირაჟმა შეადგინა 9,2 მილიონი ცალი, „იზვესტიისამ“ — 8,5 მილიონი ცალი, „სელსკაია ჟიზნისამ“ — 6,5 მილიონი ცალი.

საპაჭიო სიგელები გამარჯვებულებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის

დადგენილება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელებით საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამოცდილ სოციალისტურ შჯიბრებში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ შემდეგი საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები —

რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარებისა, და გადაეცეთ ფულადი პრემიები.

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა,
თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკა,
თბილისის № 1 ღვინის ქარხანა,
თბილისის კონიაკის ქარხანა
თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა
ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხანა
თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიური“
ქუთაისის პურ-კომბინატი
რუსთავის პურ-კომბინატი
გურიანთის ჩაის ფაბრიკა
სამტრედიის ხილის წყლების ქარხანა
წულუკიძის ჩაის ფაბრიკა
თბილისის ხილის წყლების ქარხანა

(დასასრული- მე-2 გვერდზე).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს

ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს

ძვირფასო ამხანაგო ულბრიხტ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის პოსტზე არჩევას.

ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ და დიდად ვაფასებთ იმ უმნიშვნელოვანეს წვლილს, რომელიც თქვენ, მრავალი წლის მანძილზე რომ მეთაურობდით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად შეიტანეთ გერმანიის მიწაწყალზე მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეების განხორციელებისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის შენებლობისათვის, ჩვენს პარტიებსა და ხალხებს შორის ძმური ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. თქვენი მოღვაწეობა, ამხანაგო ულბრიხტ, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მარადიული მეგობრობის განსახიერებაა.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ, იქნებით რა პარტიის თავმჯდომარის მაღალ პოსტზე და იმუშავებთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა, თქვენ, როგორც ერთგული ლენინელი, კომუნისტი-ინტერნაციონალისტი, საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი, თქვენს ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას კვლავაც მოახმართ ჩვენი საერთო დიადი და უძლეველი საქმის — კომუნიზმის გამარჯვებას.

წხუროვლად გისურვებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამებრძოლო, წარმატებებს თქვენს შემდგომ კეთილშობილურ მოღვაწეობაში, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

კომუნისტური სალმით.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვი. **1971 წლის 3 მაისი.**

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნის

ამხანაგ ერიხ ჰონეკერს

ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევას.

თქვენ ახალგაზრდობიდანვე თავდადებით ემსახურებით გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებს. თქვენ განვლეთ ფაშიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი და მკაცრი სკოლა. ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების შემდეგ, განაგრძობდით რა კომუნისტ-ტელმანელთა სახელოვან ტრადიციებს, თქვენ ჩადექით გერმანიის მიწაწყალზე ახალი ცხოვრების მშენებელთა პირველ რიგებში. გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების ვ. პიკისა და ვ. ულბრიხტის ხელმძღვანელობით თქვენ აქტიურად იბრძოდით ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის, ახლა კი მთელ ძალღონესა და ენერგიას ახმართ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა თქვენმა დიდმა წვლილმა გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა საქმეში.

საბჭოთა კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება თქვენი, ამხანაგო ჰონეკერ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის პარტიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ — ეს არის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ლენინური პრინციპისა და პარტიული ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობისა და კოლექტიურობის შესახებ, საწინდარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელთა მტკიცე მისწრაფებისა იხელმძღვანელონ იმ პრინციპული კურსით, რომ შექმნან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემა, ყოველი დონისძიებით გაანამტკიცონ რესპუბლიკა როგორც სოციალისტური სახელმწიფოების ძმური თანამეგობრობის განუყოფელი რგოლი, უზრუნველყონ მყარი მშვიდობა და განამტკიცონ ევროპის უშიშროება.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ, ვუსურვებთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კომუნისტს შემდგომ წარმატებებს ამ მარქსისტულ-ლენინური კურსის განხორციელებაში.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ერთიანობა და ძმური თანამშრომლობა, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის განუყრელი მეგობრობა და კავშირი!

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვი, **1971 წლის 3 მაისი.**

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო საქართველოში სტუმრად ჩამოსული მეცნიერები

4 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მჟავანაძემ** მიიღო მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაში, რომელიც მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი **ნ. ბასოვი**, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ვ. ამბარცუმიანი**, ბიოქიმიის, ბიოფიზიკისა და ფიზიოლოგიურად აქტიური შენაერთების ქიმიის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი **ა. ბელოზერსკი**, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ა. იოანნისიანი**, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ა. ეუკაუსკასი**, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი **მ. კაზაკი**, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი **ს. მარტიროსიანი**.

ვ. მჟავანაძემ სტუმრებს გააცნო საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის მიღწევები, ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც დაუსახა რესპუბლიკას სკკპ XXIV ყრილობამ. მან აღნიშნა, რომ ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს ეგებება ახალი წარმატებებით კომუნისტურ შენებლობაში.

ვ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც მეცნიერებს შეაქვთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, აღნიშნა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეცნიერებს პარტიის წინასწარმეტყველებათა შესრულებისათვის. ვ. მჟავანაძემ სტუმრებს უსურვა კარგად გაეტარებინოთ დრო საქართველოში.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი**, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები **რ. დვალი** და **ი. აბაშიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი **ს. დურმიშიძე**. (საქმენი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ პ. ს. გამსახურდიას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით **მწერალი** კონსტანტინე სიმონის-ძე **გამსახურდიას** **დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. **1971 წლის 4 მაისი.**

ვ. პ. მჭავანაძემ მიიღო

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია

ხუთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჭავანაძემ 3 მაისს მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით.

დარბაზობაზე იყვნენ არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი აბდელ ჰაქი ნასერი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, არაბთა სოციალისტური კავშირის დამფეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მოჰამედ აბდელ შაჰაბ შაბანი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სოციალისტური კვლევის უმაღლესი ინსტიტუტის დირექტორი შაპუხი მანსური, ამ ინსტიტუტის პროფესორი იბრაჰიმ საად მტლინი, გაზეთ „ალ-გუმჰურიის" მთავარი რედაქტორი, პოლიტიკური გამომცემლობა „ალ-ტაჰრირის" დირექტორი შაუქი მანსმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მმრომელთა სახელით ვ. მჭავანაძე გულთბილად და გულითადად მიესალმა მოძმე არაბი ხალხის წარმომადგენლებს და მათი სახით არაბთა სოციალისტური კავშირის ყველა წევრს.

საქართველოს მმრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა ვ. მჭავანაძემ, დიდი სიმპათიითა და პატივისცემით ეკიდებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ისრაელის აგრესიის პირველი დღიდანვე არაბ ხალხთა მხარეზე არიან, აცხადებენ, რომ საჯარიმო უტერენ მხარს მათს სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ისრაელ დამპყრობთა და მათი იმპერიალისტი მფარველების წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეშიც უნდა წახვიდეთ მოსკოვიდან, აღნიშნა შემდეგ ვ. მჭავანაძემ, ყველგან შეხვდებით საბჭოთა ადამიანებს გულწრფელ მეგობრობასა და ძმურ სოლიდარობას, რომლებიც მოითხოვენ ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

თქვენ იცით, თქვა ვ. მჭავანაძემ, რომ ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს არაერთგზის გაუკეთებიათ განცხადებანი ისრაელის აგრესიის ჯამი, აგრეთვე ცნობილია საბჭოთა კავშირის პოზიცია არაბ ხალხთა მიმართ. პარტიის XXIV ყრილობის ტრიბუნიიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც მკაცრად დაუჭერს მხარს არაბ მეგობრებს, განცხადებაში ახლო აღმოსავლეთის შესახებ. რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო, გამოთქმულია ძმური სოლიდარობა არაბ ხალხებთან; რომლებიც ზამაცურად იბრძვიან ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალების გამარჯვებისათვის.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით მოვიგონეთ, თქვა შემდეგ ვ. მჭავანაძემ, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივნის აბდელ მოჰენ აბუ ან-ნურის სიტყვა ყრილობაზე. ეს სიტყვა გამსჭვალული იყო საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით, რომელიც ყოველნაირ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს არაბული სამყაროს თავისუფლებისმოყვარე ძალებს. დელეგატები ფეხზე ადგომით მიესალმნენ მას და ამით გამოხატეს მეგობრობა და სოლიდარობა არაბ ძმებთან.

არაბ ხალხთა სამართლიანი საქმე, ხაზგასმით აღნიშნა ვ. მჭავანაძემ, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის ღვიძლი ინტერნაციონალური საქმეა.

ვ. მჭავანაძემ სტუმრებს გაუზიარა მოგონებები მოსკოვსა და საქართველოში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის განსვენებულ პრეზიდენტთან გამალ აბდელ ნასერთან შეხვედრების შესახებ და სთხოვა მათ სალამი გადასცენ მის ოჯახს.

დასასრულ ვ. მჭავანაძემ სტუმრებს უამბო საქართველოს სსრ წარმატებებზე, რომელიც ემზადება თავისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ზეიმისათვის.

არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა აბდელ ჰაქი ნასერმა თავისი ამხანაგების სახელით და პირადად მადლობა გადაიხადა მისი ხალხის შესახებ ნათქვამი გულთბილი სიტყვებისათვის. ჩვენ, განაცხადა მან, უსაზღვროდ მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა, რომელიც მტკიცედ დგას ჩვენს მხარეზე და განუხრელად იცავს თავის პოზიციას ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის გზების საკითხში.

მინდა მოგაგონოთ, თქვა აბდელ ჰადი ნასერმა, ერთი თეზისი, რომელსაც ხშირად იმეორებდა ჩვენი ნასერი და რომელიც გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე გაიმეორა ერთგზელ კრებაში. ნასერმა თქვა: ჩვენი კავშირი საბჭოთა კავშირთან დრეობითი ეტაპური ურთიერთობა როდია. ჩვენი მეგობრობა, ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ურყევია ჩვენს საერო ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და აქ მინდა დავადასტურო, რომ ჩვენი ხალხის თვითეული წარმომადგენელი, ისევე როგორც მთელი ხალხი ერთგულად იცავს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, რომელიც დიდმა ნასერმა გვიანდერძა.

არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების სახელით, დელეგაციის სახელით აბდელ ჰადი ნასერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ქართველ ხალხს, რუსპუბლიკის საზოგადოებრივობას მეგრძოლი არაბი ხალხების სიყვარულისა და პატივისცემისათვის.

გვახარებს, როცა ვხედავთ თქვენს აყვავებულ საქმეობოს, თქვა აბდელ ჰადი ნასერმა. ქართველი ხალხის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის პროგრესის გზა გუსნა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც სათავეში ედგა უკვდავი ლენინი.

არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, არაბთა სოციალისტური კავშირის დამიეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მოჰამედ აბდელ შაჰაბ შაბანმა მასპინძლების უამბო, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს ფრონტისპირა ზოლში მოეგბარი ოლქის მოსახლეობა. უამბო ხალხისა და არმიის ერთიანობაზე. ჩვენ, თქვა მან, იმ ფასდაუდებელი დახმარების მოწმენი ვართ, რომელსაც საბჭოთა მეგობრები გვიწევენ.

ვ. პ. მჭავანაძის საუბარმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეებთან ამხანაგურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგობერიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ბერეზოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები დ. ბოგოხოვა, ო. ჩერქეზოვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ბ. მაისურაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ბ. მახარაძე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ბ. ძასოხოვი, რომელიც დელეგაციას ახლავს; მოგზაურობაში, არაბულ ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გ. ფორმოზოვი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები პოეტი ი. ნონეშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ფორაქიშვილი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. კოჭლაშვილი. (საქდესი).

ეცნობიან საქართველოს

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია ეცნობა საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ახალი საცხოვრებელი რაიონები, იყვნენ ჩაის სახლსა და შაჰანური ღვინოების ქარხანაში. რესპუბლიკაში თავისებური მოგზაურობა იყო აგრეთვე საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმების ნახვა. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხეთის არქიტექტურულმა ძეგლებმა.

შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ გარდაბანის რაიონში, სადაც გაეცნენ თელეთის მექანიკურ სარწყავ სისტემას, დაათვალიერეს თელეთის მეცხოველეობისა და მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობა.

არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა აბდელ ჰადი ნასერმა ამ მეურნეობის მუშაობის გამოცდილება მეტად საგულისხმოა.

ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრები

თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, ისლანდიის პროფკავშირული დელეგაციები, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით მონაწილეობდნენ საპატიოელმაისო ზეიმში მოსკოვში.

საზღვარგარეთის დელეგაციათა წევრები ეწვევნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, სადაც ესაუბრნენ ლ. ხარბედიას. პროფკავშირული მოღვაწენი გაეცნენ თბილისის საქალაქო მეურნეობას და ღირსშესანიშნავ ადგილებს. 4 მაისს ისინი ეესტუმრნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს. (საქდესი).

50

საპატიო სიგელები გამარჯვებულებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის დადგენილება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელებით საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჯილდოების შესახებ

(დასასრული).

ხორცისა და რძის მრეწველობის საამინისტროს ხაზით

თბილისის რძის კომბინატი
რუსთავის ხორცკომბინატი
ბორჯომის ხორცკომბინატი
ბათუმის ხორცკომბინატი

მსუბუქი მრეწველობის საამინისტროს ხაზით

თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო"
ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება
თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკა
მახარაძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკა
თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი
გორის ბამბეულის კომბინატი

საშენ მასალათა მრეწველობის საამინისტროს ხაზით

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი
თბილისის კერამიკული კომბინატი
თბილისის საშენ მასალათა კომბინატი

მშენებლობის საამინისტროს ხაზით

№ 13 საერთო-სამშენებლო ტრესტი
№ 2 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველო
№ 7 ტრესტის ჭიათურის შახტსამშენებლო სამმართველო
№ 1 სამშენებლო ტრესტი
ქ. თბილისის მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 4 მექანიზაციის სამმართველო

სასოფლო მშენებლობის საამინისტროს ხაზით

№ 3 ტრესტის სპეციალიზებული მექანიზებული კოლონა
ქ. თბილისის „საქსოფლმშენმონტაჟი"
თერჯოლის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია

ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საამინისტროს ხაზით

წალენჯიხის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობა
თბილისის ავეჯის კომბინატი „განთიადი"
ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი

საავტომობილო ტრანსპორტის საამინისტროს ხაზით

ქუთაისის № 4 ავტოსატრანსპორტო სატ[illegible] საწარმო
2660 ავტოკოლონა
ლენინგორის „ავტოსატრანსპორტო საწარმო
თბილისის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხანა

საავტომობილო გზების საამინისტროს ხაზით

№ 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

კავშირგაბმულობის საამინისტროს ხაზით

ხაშურის № 2 საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძი
წულუკიძის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი

ადგილობრივი მრეწველობის საამინისტროს ხაზით

თბილისის № 4 მექანიკური ქარხანა
წყალტუბოს რაიონული საწარმოო კომბინატი
გორის მექანიკური ქარხანა.

კომუნალური მეურნეობის საამინისტროს ხაზით

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო,
თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველო,
„საქსანტექმშენის" რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველო,
„საქელექტრორემმშენმონტაჟის" რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველო,
ქალაქ გორის წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობა,

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საამინისტროს ხაზით

ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველო
ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკა
საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქავტოტექმომსახურების" სამმართველო
თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანება
წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველო.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საამინისტროს ხაზით

„წყალმშენის" ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველო
მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველო.

სოციალური უზრუნველყოფის საამინისტროს ხაზით

თბილისის სასწავლო წარმოება
თბილისის № 2 სასწავლო-სამრეწველო საწარმო

ვაჭრობის საამინისტროს ხაზით

ქალაქ თბილისის ვაჭრობის სამმართველოს № 2 კვებავაჭრობა
„საქგალანტერიის" რესპუბლიკური საბითუმო სავაჭრო ბაზა
„საქტანსაცმელვაჭრობის" რესპუბლიკური საბითუმო სავაჭრო ბაზა
საქართველოს საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების თბილისის აეროპორტის რესტორანი

„საქმთავარენერგოს" ხაზით

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური
რიონჰესის № 2 კასკადი
ქუთაისის ელექტროქსელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის საამართველოს ხაზით

კოლხეთის ჰიდროგეოლოგიური პარტია
ცენტრალური კომპლექსური ლაბორატორია
კომპლექსური თემატური ექსპედიცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ხაზით

„აფხაზეთის" სამმართველო
„ყასბეგის" სარაიონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაგნერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ხაზით

„საქელექტრომომარაგება გასაღების" სამმართველო
საქართველოს ფერადი ლითონების რესურსების მობილიზაციის სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საახელმწიფო კომიტეტის ხაზით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
ქუთაისის № 5 სტამბა
ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის „საქწიგნის" ზონალური გაერთიანება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილბოსტნის" საახელმწიფო კომიტეტის ხაზით

„საქხილდგინოს" სამმართველოს ქარელის ხილკენკროვანთა ღვინოების ქარხანა
ბათუმის ციტრუსკომბინატი
„საქხილბოსტნის" მახარაძის დამამზადებელი კანტორა
გორის საკონსერვო ქარხანა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის საახელმწიფო კომიტეტის ხაზით

მახარაძის სატყეო მეურნეობა
ქედის სატყეო მეურნეობა

დამზადების საამინისტროს ხაზით

თბილისის № 3 წისქვილკომბინატი
გორის პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ხაზით

ბოლნისის რაიგაწყობილება
თელავის რაიგაწყობილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს „საქნავთობგასაღების" ხაზით

ბათუმის ცენტრალური გადასატვირთი ნავთობბაზა
გორის ნავთობბაზა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ხაზით

„საქელექტრომონტაჟის" ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველო.
„საქსანტექმონტაჟის" ტრესტის თბილისის სამრეწველო ვენტილაციის სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

კინოსტუდია „ქართული ფილმი"
რუსთავის საქალაქო კინოფიკაციის დირექცია

ცეკავშირის ხაზით

გარდაბნის რაიკომკავშირი
ორჯონიკიძის რაიკომკავშირი
სოღლაღის რაიკომკავშირი
წყალტუბოს რაიკომკავშირი

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ხაზით

თბილისის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენი

სახმშენის ხაზით

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

ქალაქ რუსთავის № 16 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი
თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებელი

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საამინისტროს ხაზით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი

ჯანმრთელობის დაცვის საამინისტროს ხაზით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
ქუთაისის საქალაქო კლინიკური საავადმყოფო
თბილისის № 9 საბავშვო პოლიკლინიკა
გაგრის რაიონული საავადმყოფო
აბასთუმნის სანატორიუმი „ზეკარი"

კულტურის საამინისტროს ხაზით

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
მეხსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიის ბიბლიოთეკა

განათლების საამინისტროს ხაზით

ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა
ხოსუთის პირველი საშუალო სკოლა-ინტერნატი
თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლე
თბილისის 77-ე საშუალო სკოლა
გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატი

ფინანსთა საამინისტროს ხაზით

დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
მეტალურგიის ინსტიტუტი
კიბერნეტიკის ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით

რადიოტელეცენტრი

საბჭოთა მეურნეობების საამინისტროს ხაზით

ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა
კოხორის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა
გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
ციხისჯვარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშთასანაშენო საბჭოთა მეურნეობა
ბებნისის მეხილეობის სახელმწიფო სანერგე

სოფლის მეურნეობის საამინისტროს ხაზით კოლმეურნეობები

სტალინის სახელობისა, ხაშურის რაიონის სოფელი წრომი
სოღლაღის რაიონის სოფელი ტიბაანი
„განახლება", ცაგერის რაიონის სოფელი ჩხუტელი
ლადო კეცხოველის სახელობისა, გორის რაიონის სოფელი ტყვიავი
„ახალგაზრდა კომუნისტი", მახარაძის რაიონის სოფელი ძიმითი
ვანის რაიონის სოფელი ბზვანი
ლენინის ორდენოსანი, წითელწყაროს რაიონის სოფელი ზემო მაჩხაანი
ორჯონიკიძის სახელობის, ზესტაფონის რაიონის სოფელი ალავერდი
ლენინის სახელობისა, ზუგდიდის რაიონის სოფელი ახალსოფელი
გამარჯვება, ცხაკაიას რაიონის სოფელი ხორში
დიმიტროვის სახელობისა, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ჩაისუბანი
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელი დმენისი
ამბროლაურის რაიონის სოფელი სადმელი
ეფდანოვის სახელობისა, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი უჩმანა
„აფსნი ყაფში, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი ბედია
ლენინის სახელობისა, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი კორტფი
1 მაისის სახელობისა, თელავის რაიონის სოფელი სანიორე
დუშეთის რაიონის სოფელი ჭართალი

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები

ამიერკავკასიის რკინიგზა
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა
თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხანა
ტრესტი „საქსამთოქმმრეწვი"
ტრესტ „საქსამთოქმმრეწვის" „ქუთაისტის" მაღაროსამმართველო
თბილისის „პლასტმასის" ქარხანა
თბილისის ქარხანა „მიკროძრავი"
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტი
ტყვარჩელის № 6 შახტი
რუსთავის მეტალურგიული ქარხანა
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროსამმართველო
ტრესტი ამიერკავკასიის „ტრანსმშენი"
№ 454 ხიდსაშენებელი მატარებელი
ქუთაისის ლითოფონის ქარხანა
თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაზომვითი ქარხანა
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა
საქართველოს საზღვაო სანაოსნო
ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველო
რუსთავის ამწესამშენებელო ქარხანა
№ 481 ხიდსამშენებელო მატარებელი
ბათუმის გემთსაშენებელი ქარხანა
ფოთის გემთსარემონტო ქარხანა
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი
რუსთავის „ავტომატმრეწვის" საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი
თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო
გორის „ავტომატმრეწვის" სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
საბჭოთა კავშირის მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი
ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური
თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
თბილისის კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
საბჭოთა კავშირის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო გულითადად ულოცავენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, მეჯინიერებისა და კულტურის მუშაკებს, საიუბილეო ვაჩარის მონაწილეებს და მხურვალე მადლობას უხდიან თავდადებული, შემოქმედებითი შრომისათვის საყვარელი საშობლოს საკეთილდღეოდ, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რუსპუბლიკის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულებისათვის, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მეცხრე ხუთწლედში, ძალღონეს არ დაიშურებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ქალაქ ქუთაისში, ახალქალაქისა და თელავის რაიონებში. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

აღმასრულებელმა კომიტეტებმა განიხილეს არჩევნებისათვის მზადების საკითხი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. ახალქალაქისა და თელავის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მოიწვიეს საინსტრუქტაჟო თათბირები საოლქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის, ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისათვის.

არჩევნების დებულებით გათვალისწინებულ ადგილებში ქ. ქუთაისში შეიქმნა საქალაქო საბჭოს არჩევნებს 300 საარჩევნო ოლქი და 65 საარჩევნო უბანი, ახალქალაქის რაიონში — რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნებს 868 საარჩევნო ოლქი, ხოლო თელავის რაიონში — 816.

ქალაქ ქუთაისში და ახალქალაქის რაიონში 20 აპრილამდე აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამტკიცეს საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. კომისიების შემადგენლობა გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. საარჩევნო ოლქები და უბნები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის შენობებში და უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით, საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით.

საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები, დაწესებულია მორიგეობა. აგიტატორები და აქტივი ადგენენ ამომრჩეველთა სიებს.

ქ. ქუთაისში, ახალქალაქისა და თელავის რაიონებში შექმნილია ამომრჩეველთა ჯგუფები, დამტკიცებულია მოსახლეობაში ლექციათა-მოხსენებებისა და საუბრების მოწყობის გეგმა. მომხსენებლები, აგიტატორები და პოლიტიფორმატორები მოსახლეობას ფართოდ აცნობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებსა და არჩევნების დებულებებს.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ახალქალაქისა და თელავის რაიონული საბჭოების აღმასკომებს აქვთ ზოგიერთი ნაკლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში.

თელავისა და ახალქალაქის რაიონებში ზოგიერთი საარჩევნო ოლქი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი და გაფორმებული. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში როდია გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა არჩევნებთან დაკავშირებით. შემოშავებული არა აქვთ ახალგაზრდა ამომრჩეველებთან მუშაობის სპეციალური გეგმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაიძლიერონ მუშაობა არჩევნებისათვის მზადების საქმეში, სათანადოდ მოაწყონ და გაფორმონ შენობები, სადაც მოთავსებულია საარჩევნო კომისიები, მეტი დახმარება გაუწიონ მათ, დიბულებით გათვალისწინებულ ადგილებში უზრუნველყონ საარჩევნო უბნების შექმნა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების ზუსტად შედგენას, სათანადო მუშაობა გაშალონ ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პრესის საშუალებით გაანალონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დიბულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე; ფართოდ გააკონონ ამომრჩეველებს დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობა; განაახორციელონ ყველა ღონისძიება, რომლებიც ეშურებიან არჩევნების ადგილობრივ საბჭოებში.

ხალხის კანდიდატები

დეკუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

გაიმართა თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 3 კუიბიშევის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ საწარმოს მოწინავე მსმენელი ნადეჟდა დიმიტრის ასული ოსტანინა.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 9 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ ქარხნის ამწყობ ზეინაღლთა ბრიგადირი ბურაშ შალვას-ძე ჩაღუნელი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსი მიხეილ სიმონის-ძე ჩიკვაშიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად ქალაქ თბილისის № 30 პიონერების საარჩევნო ოლქში დასახელონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბურაშ კაპიტონ-ძე ჟოლოშვილი.

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება, რომელზეც გადაწყვიტეს, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმომადგენლად გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონის პირველი მდივანი სერგი ტარასის-ძე რიხვაკა. იგი დასახელებულია ქალაქ თბილისის № 31 რაბოჩის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ვოროშილის რაიონის პირველი მდივანი ბორის ზაქარიას-ძე ბარსუკოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 43 ბარათაშვილის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარენერგოს“ კოლექტივმა.

გაიმართა საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარიო აღ ო ე ბ ა სასწავლებლის ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების წინასაარჩევნო კრება, რომელზეც ერთსულოვნად ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტ ალექსანდრ ალექსის-ძე ბოლკვაძე დასახელეს ქალაქ თბილისის № 45 ფაკის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

თბილისის ენერგეტიკული ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 57 26 კომისრის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ საწარმოს მხატვარი-შემრსულებელი ელზა სერგეს ასული მარტიროსოვა.

ქალაქ თბილისის № 60 წერეთლის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად „თბილისელსაწყოს“ ქარხნის კოლექტივმა დასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის პირველი მდივანი ვასილ ნიკოლოზის-ძე ხოდელი.

წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც გარდაბნის რაიონის სარეინჭალოს მბოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა, გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის რაიონის № 76 სართიჭალის საარჩევნო ოლქში დასახელონ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი არჩილ გიორგის-ძე ფეშვერიძე.

ნატახტრის მბოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს, რომ მცხეთის რაიონის № 81 ნატახტრის საარჩევნო ოლქიდან რესპუბლიკის პარლამენტში თავიანთ წარმომადგენად გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონის პირველი მდივანი გიორგი ქრისტოფორეს-ძე კაკათიაშვილი.

ბორის რაიონის შაოშვების საბჭოთა მეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს, რომ ბორის რაიონის № 87 შაოშვების საარჩევნო ოლქი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს კომპარტიის ბორის რაიონის პირველი მდივანი ივმენი ალექსანდრეს-ძე ფეშვერი.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის წევრებმა კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენად თეთრი წყაროს რაიონის № 136 მანგლისის საარჩევნო ოლქიდან რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გაგზავნონ ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეფეზე ალექსანდრეს-ძე ბზიშვილი.

ქარელის რაიონის № 99 აგარის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აგარის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა დასახელა საწარმოს მოწინავე მუშა ნამი იესეს ასული ჭორტაძე.

ქვიშხეთის მბოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაშურის რაიონის № 105 ქვიშხეთის საარჩევნო ოლქში დასასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბორის ბერასლიმოს-ძე ბიბიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის რაიონის № 108 ბორჯომის საარჩევნო ოლქში ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა დასახელეს ამ ქარხნის მოწინავე მუშა მეფეა სერგის ასული ხარაზიშვილი.

ახალციხის მახტასამმართველოს № 1 მახტის წინასაარჩევნო კრებაზე მუშახტელებმა გადაწყვიტეს, რომ ახალციხის რაიონის № 112 ვალეს საარჩევნო ოლქიდან რესპუბლიკის პარლამენტში თავიანთ წარმომადგენად გაგზავნონ № 1 მახტის ავტობაზამაყვანი მებიგი პაპლე ტერენტის-ძე კაკაბაძე.

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი სიმონ პეტროსის-ძე პეტროსიანი ოკამის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა, გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის რაიონის № 123 ოკამის საარჩევნო ოლქში.

ბოგდანოვკის სამკერეალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოგდანოვკის რაიონის № 124 ბოგდანოვკის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვარტან ვასრეს ასული ბაბაიანი.

წალკის რაიონის № 132 ავრანლოს საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა დასახელეს საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ივმენი ალექსანდრეს-ძე ფეშვერი.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის წევრებმა კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენად თეთრი წყაროს რაიონის № 136 მანგლისის საარჩევნო ოლქიდან რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გაგზავნონ ამ კოლმეურნეობის ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ყველამ ვიცით, რომ ამხანაგი ერიხ პონეკერმა განვლო ფაშიზმის წინააღმდეგ პოლიტიკ უ რ ი კლასობრივი ბრძოლის მძიმე სკოლა, 10 წელი მან გაატარა ფაშისტური გერმანიის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. გამბერთიანებული ყრილობის დღიდან იგი პარტიის გამგეობის ან ცენტრალური კომიტეტის წევრია, 20 წელზე მეტი ხანია შედის პოლიტიბიუროს შემადგენლობაში.

ერიხ პონეკერი დაიბადა 1912 წლის 25 აგვისტოს ნონეკირხენში (საარი) მეშახტის ოჯახში. მამამისი იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი. ე. პონეკერი იყო მხურვალე შეგირდი. 1926 წელს შევიდა გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში, 1929 წელს დეკემბერში— გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. აქტიურად მონაწილეობდა „ფიხტეს“ მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშულ მოძრაობაში.

1930 წელს იგზავნება სასწავლებლად მოსკოვის ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სკოლაში. „ინტერნაციონალურ მუშათა ბრიგადების შემადგენლობაში მონაწილეობდა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში. 1931 წლიდან იყო გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საარის სოლქო კომიტეტის მდივანი. 1934 წელს ირჩევენ ამ კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

მონაწილეობდა მიტლერიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო არალეგალურ სამუშაოზე რურის ოლქში, ბადენში, ჰესენში, ვიურტემბერგსა და ბფალცში; შემდეგ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არალეგალურ მუშაობას ბერლინის ოლქში. 1935 წლის დეკემბერში იგი დაიჭირეს და მიუსაჯეს 10 წლის პატიმრობა.

საბჭოთა არმიის მიერ გერმანელი ხალხის განთავისუფლების შემდეგ ე. ჰონეკერი მაშინვე ჩაება აქტიურ მუშაობაში: იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის საკითხთა მდივანი, შემდეგ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათა ცენტრალურ კომისიას.

იგი იყო თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის ერთ-ერთი შემქმნელი, 1946-1955 წლებში იყო მისი თავმჯდომარე. 1947 წელს მეთაურობდა გერმანელი ახალგაზრდობის პირველ დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირს ეწვია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1949-1955 წლებში იგი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრია.

1946 წლიდან, იყო რა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ე. ჰონეკერი აქტიურად მონაწილეობდა ორივე მუშათა პარტიის გაერთიანებაში. გამაერთიანებელმა პარტიულმა ყრილობამ იგი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პარტიული გამგეობის წევრად აირჩია. ყველა შემდგომ პარტიულ ყრილობებზე მას ირჩევდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1950 წლიდან შედის პოლიტბიუროს შემადგენლობაში. 1955-1956 წლებში საბჭოთა კავშირში სწავლის დამთავრების შემდეგ ე. ჰონეკერი განაგრძობდა მოღვაწეობას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. 1958 წლიდან ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

მთელი იგი წლების განმავლობაში ე. ჰონეკერი მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ყველა დიდმნიშვნელოვან შეხვედრაში, აგრეთვე მოსკოვის 1969 წლის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღიდან იგი სახალხო პალატის დეპუტატია. მანამდე იყო გერმანიის სახალხო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

დაჯილდოებულია კარლ მარქსის ორდენით და მთელი რიგი სხვა ორდენებით, მას მინიჭებული აქვს შრომის გმირის წოდება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 3 მაისის პლენუმზე ერიხ ჰონეკერი არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბერლინი, 3 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ სხდომაზე განსახილველია გააკეთა ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა, რომელმაც სთხოვა ცენტრალურ კომიტეტს ასაკის გამო გაეთავისუფლებინა იგი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა ვ. ულბრიხტის განცხადება და პოლიტბიუროს წინადადებით გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა. მისი დამსახურების აღიარების ნიშნად ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ და კვლავ იმუშავებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად ირჩია ამხანაგი ერიხ ჰონეკერი.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სხდომაზე ამხ. ვ. შტოფმა წაიკითხა პოლიტბიუროს წერილი ვ. ულბრიხტისადმი, რომელშიც ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის ამხ. ვ. ულბრიხტს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მრავალი წლის მუშაობისათვის და უსურვებს კიდევ მრავალი წლის ჯანმთელობასა და შეშოქმედებითს საქმიანობას პოლიტბიუროში, როგორც პარტიის თავმჯდომარეს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო თავმჯდომარეს. ცენტრალურ კომიტეტი აღუთქვამს ამხანაგ ულბრიხტს, რომ ცენტრალური კომიტეტი პირველი მდივნის ამხ. ე. ჰონეკერის ხელმძღვანელობით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგული იქნება და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ერთიანი, შეკავშირებული ლენინისეულებით წარმატებით გაიგრძოს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის დიდ საქმეს. ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მიიღო ეს წერილი.

ამხ. ე. ჰონეკერმა მადლობა გადაიხადა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევისა და მისდამი გამოჩენილი ნდობისათვის.

შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის დღის წესრიგი.

პლენუმზე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მოხსენება სკკპ XXIV ყრილობის შესახებ გააკეთა ამხ. ე. ჰონეკერმა.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მოხსენება სკკპ XXIV ყრილობის შესახებ და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმდინარე წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება სკკპ XXIV ყრილობის შედეგების შესახებ, რომელიც შეიცავს მოწოდებას მთელი პარტიასადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებისადმი, კოოპერაციული გლეხობისადმი, ინტელიგენციისა და ყველა მშრომელისადმი გაავრცელონ და საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ ყრილობის დოკუმენტები.

პლენუმზე მოხსენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადების პროექტის შესახებ გააკეთა ამხ. ვ. შტოფმა. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე, დირექტივების პროექტს გამოაქვეყნებენ და განიხილავენ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, მშრომელთა კრებებზე.

ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის განცხადება

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1971 წლის 3 მაისს

ძვირფასო ამხანაგებო! ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება დღევანდელ პლენუმზე ვთხოვო ცენტრალურ კომიტეტს გამთავისუფლოს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ადგილი არ იყო.

სამწუხაროდ, დროს ვერაფერს ვერ მოუხერხებ და, თუ დღეს ვთხოვი გამთავისუფლოთ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ფუნქციებისაგან, ამას მიკარნახებს დიდი პასუხისმგებლობა ცენტრალური კომიტეტის წინაშე, მთელი პარტიის წინაშე, ჩვენი ხალხის წინაშე, რომლის კეთილდღეობა განსაზღვრავს ჩვენი პარტიის მთელ პოლიტიკას.

ძვირფასო ამხანაგებო — ცენტრალური კომიტეტის წევრებო!

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამდენიმე სიტყვა გითხრათ პარტიული ხელმძღვანელობის მდგომარეობაზე. ვფიქრობ, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი საქმიანობის ათწლეულების მანძილზე შევძელით შეგვექმნა პარტიის მტკიცე, ერთიანი, შეკავშირებული და ჭეშმარიტად კოლექტიური ხელმძღვანელობა. ეს იხრახა ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროს. პარტიის VI და VII ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს პოლიტბიუროს ცხადდო პოლიტიკური სიმტკიცე, შორსმჭვრეტელობა და მოკოლექტიური საქმიანი მიდგომა მომწიფებულ საკითხთა გადაწყვეტისადმი. ამან საშუალება მოგვცა სულ უფრო უკეთ შეგვეძლებინა ჩვენი მოვალეობა, ამასთან გვეხელმძღვანელა ჩვენი პარტიის პასუხისმგებლობით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიური დღევანდელ პლენუმზე ჩემი წინადადების მიღების შემდეგ ისევე მტკიცედ და შეკავშირებულად უხელმძღვანელებენ პარტიას, როგორც დღემდე ხელმძღვანელობდნენ. ამის გარანტია იქნება ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამხანაგ ერიხ ჰონეკერის არჩევა და საქმიანობა. ეს არის პოლიტბიუროს ერთსულოვანი აზრი, აგრეთვე ჩემი მტკიცე რწმენა.

ცენტრალური კომიტეტი, მთელი პარტია იცნობენ და აფასებენ ამხანაგ ერიხ ჰონეკერს, რომელიც სიკვდილამდე იბრძვის გერმანიის რევოლუციური მუშაობა მოძრაობის რიგებში როგორც ხელმძღვანელი პარტიული მოღვაწე. იგი იყო წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ვიცით, რომ ამხანაგმა ერიხ ჰონეკერმა განვლო ფაშიზმის წინააღმდეგ პოლიტიკ უ რ ი კლასობრივი ბრძოლის მძიმე სკოლა, 10 წელი მან გაატარა ფაშისტური გერმანიის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. გამბერთიანებული ყრილობის დღიდან იგი პარტიის გამგეობის ან ცენტრალური კომიტეტის წევრია, 20 წელზე მეტი ხანია შედის პოლიტბიუროს შემადგენლობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც დღეს მიიღებს ცენტრალური კომიტეტი, ბაგებითა და სრული მოწონებით შეხვდება ჩვენი პარტიის ყველა წევრი.

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ დღეს გულწრფელი მადლობა გადგიხადოთ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსა და წევრობის კანდიდატს იმ დიდი მხარდაჭერისა და ღახმარებისათვის, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე მიწევდით როგორც პირველ მდივანს. ბედნიერი ვარ და ვამაყობ იმით, რომ ამდენ ხანს ვმუშაობდი პირველი მდივნის პოსტზე ამ ნაცად კოლექტივში. კვლავაც დიდი შინაგანი კმაყოფილებით ვიმუშავებ ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს კოლექტივში, რაც დიდ პატივად მიმაჩნია, ძალ-ღონეს არ დავიშურებ და ერთგულსინდისიერად შევასრულებ ჩემს მოვალეობას.

ერიხ ჰონეკერი დაიბადა 1912 წლის 25 აგვისტოს ნონეკირხენში (საარი) მეშახტის ოჯახში. მამამისი იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი. ე. ჰონეკერი იყო მხურვალე შეგირდი. 1926 წელს შევიდა გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში, 1929 წელს დეკემბერში— გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. აქტიურად მონაწილეობდა „ფიხტეს“ მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშულ მოძრაობაში.

1930 წელს იგზავნება სასწავლებლად მოსკოვის ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სკოლაში. „ინტერნაციონალურ მუშათა ბრიგადების შემადგენლობაში მონაწილეობდა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში. 1931 წლიდან იყო გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საარის სოლქო კომიტეტის მდივანი. 1934 წელს ირჩევენ ამ კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

მონაწილეობდა მიტლერიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო არალეგალურ სამუშაოზე რურის ოლქში, ბადენში, ჰესენში, ვიურტემბერგსა და ბფალცში; შემდეგ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არალეგალურ მუშაობას ბერლინის ოლქში. 1935 წლის დეკემბერში იგი დაიჭირეს და მიუსაჯეს 10 წლის პატიმრობა.

საბჭოთა არმიის მიერ გერმანელი ხალხის განთავისუფლების შემდეგ ე. ჰონეკერი მაშინვე ჩაება აქტიურ მუშაობაში: იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის საკითხთა მდივანი, შემდეგ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდათა ცენტრალურ კომისიას.

იგი იყო თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის ერთ-ერთი შემქმნელი, 1946-1955 წლებში იყო მისი თავმჯდომარე. 1947 წელს მეთაურობდა გერმანელი ახალგაზრდობის პირველ დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირს ეწვია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1949-1955 წლებში იგი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრია.

1946 წლიდან, იყო რა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ე. ჰონეკერი აქტიურად მონაწილეობდა ორივე მუშათა პარტიის გაერთიანებაში. გამაერთიანებელმა პარტიულმა ყრილობამ იგი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პარტიული გამგეობის წევრად აირჩია. ყველა შემდგომ პარტიულ ყრილობებზე მას ირჩევდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1950 წლიდან შედის პოლიტბიუროს შემადგენლობაში. 1955-1956 წლებში საბჭოთა კავშირში სწავლის დამთავრების შემდეგ ე. ჰონეკერი განაგრძობდა მოღვაწეობას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. 1958 წლიდან ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

მთელი იგი წლების განმავლობაში ე. ჰონეკერი მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ყველა დიდმნიშვნელოვან შეხვედრაში, აგრეთვე მოსკოვის 1969 წლის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღიდან იგი სახალხო პალატის დეპუტატია. მანამდე იყო გერმანიის სახალხო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

დაჯილდოებულია კარლ მარქსის ორდენით და მთელი რიგი სხვა ორდენებით, მას მინიჭებული აქვს შრომის გმირის წოდება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 3 მაისის პლენუმზე ერიხ ჰონეკერი არჩეულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება

გლეზგადი. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმმა 28-30 აპრილის სხდომებზე განიხილა ქვეყნის აქტუალური პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და ურთიერთობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირში. სხდომაზე გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო.

პრეზიდიუმმა, ნათქვამია ცნობაში სხდომის შესახებ, რომელიც ტანიუგის საგგენტომ გაავრცელა, ერთსულოვანი შეფასება მისცა ქვეყნის ახლანდელ სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც იუგოსლავიის მშრომელთა და ფართო საზოგადოებრიობის შემფოთებას იწვევს.

როგორ მეშვნილ მდგომარეობას განიხილავდა, აღნიშნულია ცნობაში, პრეზიდიუმი ითვალისწინებდა, რომ კომუნისტთა კავშირი, რომელიც განაგრძობდა იუგოსლავიის ხალხთა რევოლუციის და იბრძოდა სოციალიზმის აშენებისათვის, ძნელ საერთაშორისო და ფრიად რთულ საშინაო პირობებში მეთაურობდა ღრმა საზოგადოებრივ-ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს.

ამასთანავე აღინიშნა მდგომარეობის გაუარესება კომუნისტთა კავშირში და ჩამორჩენა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის IX ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ახლანდელი მდგომარეობის შესაცვლელად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის კონსტიტუციის შესწორებათა განხორციელება. ეს შესწორებები, ნათქვამია ცნობაში, მოასწავებენ მუშათა კლასის წამყვანი როლის, ერებისა და ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობის შემდგომ განმტკიცებას, რესპუბლიკებისა და მხარეების პასუხისმგებლობის გადიდებას საკუთარი ხელოვნური რაიონის № 383 ბაბრისწყლის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელოს ამ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა სულიმო სუმბრის-ძე შილაძე.

ქედის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის წევრებმა ქედის რაიონის № 384 ქედის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ამიერკავკასიის ნითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი პრაპორ მრიგიოლის-ძე შელეპინი.

ლენინგორის რაიონის სოფელ დიდიანეთის კოლმეურნეობაში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება. კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს ლენინგორის რაიონის № 399 ლენინგორის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ საქართველოს სსრ კავშირგამბმულობის მინისტრი კონსტანტინე ივანეს-ძე ქავთარაძე.

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 21 პირველი მაისის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბარბარეს ნიკოლოზის ასული ბრიგალაშვილი.

თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტრონიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 28 ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი მელიტონ მიხეილის-ძე დანელია.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მუშაკთა საერთო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 32 კალინინის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბორის ალექსანდრეს-ძე ანდრონიკაშვილი.

თბილისის წინდის ფაბრიკა „ანწანინის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, განიხილეს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი, დაადგინეს თავიანთ წარმომადგენლად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 41 ბუკინოს საარჩევნო ოლქში დასახელონ — საწარმოს მოწინავე მუშა ირინე აბრამის ასული ...

საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ბესიკ მოსეს-ძე ბეჟანიძე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 47 ფალავაშვილის საარჩევნო ოლქში ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე.

თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 62 მასარაძის საარჩევნო ოლქში დასახელოს ამ საწარმოს ბრიგადირი-მეჩარხე ნოშრევან ბეირგბეს-ძე სალაველიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 69 დიმიტროვის საარ

საქართველოს ამა-ბაგში

● გორი 2.000 წელს ● ათასობით ხე საიუბილეოდ ● დამსვენებლები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ● „სალხინო“ — სალხინოდ! ● რვა მილიონზე მეტი მგზავრი.

ქალაქის მომავალი

გორი. (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება და ლამაზდება ქალაქი გორი. გამრავლდა საცხოვრებელი სახლების ახალი კორპუსები, გაშენდა ლამაზი სკვერები და მწვანე კუთხეები. ამ დღეებში საჯაროდ განიხილეს გორის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომლის ავტორია საქართველოს სსრ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორი ლ. სუმბაძე (თანაავტორი გ. გიგოლაშვილი).

ახალი გეგმით ქალაქის ფარგლებში რკინაბეტონის არტახებში მოექცევა მდინარეები მტკვარი, ლიახვი და შიდა. გაკეთდება ახალი სანაპიროები, გაშენდება „გორიჯვრის“ მთის პლატო, რომელსაც ქალაქი საბაგირო გზით დაუკავშირდება.

გენერალური გეგმის განხორციელების შემდეგ, რომელიც 1980-2000 წლებს ითვალისწინებს, კიდევ უფრო თვალწარმტაცი გახდება ქალაქი.

ტაქსებით, ავტობუსებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონისა და ქალაქის ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა მსუბუქი მანქანები. გარდა შიდა სარაიონო და საქალაქო მარშრუტებისა, ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქებს უკავშირდებიან ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტომანქანები. წელს გაიხსნა ორი შიდასაქალაქო და სამი შიდასარაიონო მარშრუტი.

გასულ წელს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსებმა და მსუბუქმა ტაქსებმა რვა მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს. ეს 1966 წელთან შედარებით 3 მილიონით მეტია.

ბაიხსნა საჭიდრაკო კლუბი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). კულტურისა და დასვენების პარკში ახლახან გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. აქ ჩატარდება ლექციებ-მოხსენებები, ერთდროული სეანსები. იგი ახალგაზრდობის კულტურული გართობა-დასვენების კერა იქნება, ხელს შეუწყობს საჭადრაკო ხელოვნების განვითარებას.

საზეიმო სუფრისათვის

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). სამტრეტის მაიაკოვსკის ქარხანათა სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ღვინოების დამზადების მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება. მეღვინეებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 170 ათასი მანეთის პროდუქცია.

საპირველმაისო დღესასწაულისათვის მოსკოვში, ვოლგოგრადში, როსტოვში, ბობრუისკში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში დიდი რაოდენობით ჯაიზანია შესანიშნავი ქართული ღვინო „სალხინო“, რომელსაც საერთაშორისო გამოფენებზე ოქროს medali მიეცა.

ჯანსაღდებიან ქვეყეთში

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრიდან შვიდ კილომეტრზე, გიუმაკი მდინარე ჩიხურის ხეობაში გაშენებულია კურორტი ყვერეთი. იგი მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს.

აქ ჩამოვიდნენ დამსვენებლები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, მურმანსკიდან და ვლადივოსტოკიდან, დონბასიდან და ურალიდან, თბილისიდან და რუსთავიდან... ისინი მოხიბლული არიან კურორტის საუცხოო ბუნებითა და გოგირდოვანი სამკურნალო წყაროებით.

ყვერეთში წელს ორი ათასზე მეტი დამსვენებელი გამოჯანსაღდება.

ბაკაჩოებში

თერჯოლა. (საკ. კორ.). შენდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი დაბა თერჯოლა. მას ამშვენებს კულტურის სახლი, ადმინისტრაციული შენობა შინმოუსვლელთა მონუმენტი, საშუალო სკოლა, სბაკშვო ბაღი, კულტურულ- საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

ახლახან დამთავრდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მთავრდება სადაბო საბჭოს ალმასკომის, 60-ადგილიანი სამშობიაროო სახლის, მუსიკალური სკოლის მშენებლობა. შენდება საავადმყოფო 120 საწოლით, ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის. დაბა თერჯოლა მწვანით შეიმოსა. მარტო საიუბილეოდ აქ ათასობით ძირი მცენარე დარგეს და გაახარეს.

ბევრი რამ შენდება სოფლებშიც. აშენდა ბარდუბნისა და თუზის საოფლო საბჭოების ალმასკომების შენობები, ინველიდთა რესპუბლიკური სახლის ახალი კორპუსი. ქვედა სიმონეთის ამბულატორია. შენდება ღვანყითისა და ზედა საზანოს კოლმეურნეობათა კლუბ-კინტორები, ეწერის რვაწლიანი სკოლა, საკოლმეურნეობათა შორისო მეფრინველეობის ფერმა, წყალსადენები სქოთარაში, ეწერში, ზედა სიმონეთში, ნაგარევში, ჭოგნარში, კვახჭირსა და ჩხარში.

5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა

ყოველდღიურად ამ ერთ საამქროში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის საროტაციო საამქროში — ორ მილიონზე მეტი ცალი გაზეთი იბეჭდება. რესპუბლიკურ და თბილისის საქალაქო გაზეთებთან ერთად, მოსკოვიდან თვითმფრინავით მიღებული მატრიცების საშუალებთ, აქ იბეჭდება და საქართველოში მცხოვრებ მკითხველს შეუძლია იმავე დილით წაიკითხოს „პრავდა“, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „სელსკაია ჟიზნი“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“, „ტრუდი“.

სურათზე: საროტაციო საამქროს უფროსი ჯემალ იაკობიძე (მარცხნივ) და მბეჭდავი ფრიდონ ჭუმბურიძე საბეჭდ მანქანებთან.

ფოტო ბ. ბოგოსიანის.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დროულად ვუმკურნალოთ...

ფილტვების ანთებისა და ტუბერკულოზის მკურნალობის ეფექტურ საშუალებათა შემოღებით მედიცინამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ამჟამად ექიმთა მეტ ყურადღებას უკვე ფილტვების ჩირქოვანი და სიმსივნური პროცესები იმსყრობს. ეს პროცესები განსაკუთრებით გახშირდა ამ უკანასკნელ წლებში.

როგორც ჩვენი, ისე სხვათა დაკვირვებებით ცნობილია, რომ ფილტვების დაჩირქების ყველაზე ხშირ მიზეზს ფილტვების ანთების არასრული მკურნალობა წარმოადგენს. დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე აკადმყოფი უმეტესად ან თვითმკურნალობას იწყებს ანდა პოლიკლინიკის ექიმს მიმართავს და ბინაზე მკურნალობს. ანტიბიოტიკების (უმთავრესად პენიცილინი, სტრეპტომიცინი) მიღებით ადვილად ისპობა დაავადების ძირითადი ნიშნები, ნორმალური ხდება ტემპერატურა, ავადმყოფს აღარ ახველებს და თავი გამოჯანმრთელებულად მიაჩნია, მაშინ როდესაც ფილტვებში დაავადების კერა ლიკვიდირებული არ არის. ასეთ კერაში კი ადვილად იბუდებენ ჩირქმბადი მიკრობები. ასევე ხშირია სიმსივნეებით დაავადებაც.

თანამედროვე მედიცინას მნიშვნელოვანი საშუალებები აქვს ამ დაავადებათა დროულად ამოცნობისა და მკურნალობისათვის.

თბილისში, დიღმის მასივში ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ახალი კეთილმოწყობილი კლინიკის გახსნის შემდეგ დიდი რაოდენობით მოგვმართავენ ასეთი ავადმყოფები. მათმა დეტალურმა გამოკვლევამ ჩვენს წინაშე მრავალი საკითხი დასვა, რომელთა ნაწილმა ამ წერილის დაწერა გვაფიქრებინა.

ფილტვებით დაავადებულთა უმრავლესობა იმდენად დაგვიანებით მიმართავს კლინიკას, მათ იმდენად უსისტემოდ და დიდი რაოდენობით აქვთ ჩატარებული ანტიბიოტიკებით მკურნალობა, რომ მიკრობები შეეჩვევნენ მათ და ეს პრეპარატები მათზე აღარ მოქმედებს. აღარ მოქმედებს არა თუ პენიცილინი და სტრეპტომიცინი, არამედ არც ერთი ჩვენში არსებული სხვა ანტიბიოტიკიც. ასეთი ავადმყოფები კი ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც ფაქტიურად ისეთივე მდგომარეობაში რჩებიან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ანტიბიოტიკების შემოღების წინა ხანაში.

რამდენიმე ავადმყოფმა კლინიკას ისე გვიან მომართა, რომ ჩირქოვრთას უკვე დაეშალა ფილტვის ქსოვილი და პლევრის ღრუში გახსნილიყო. ამიტომ მათი მკურნალობა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა არა მხოლოდ თვით ავადმყოფისათვის, არამედ ექიმებისთვისაც.

ასევე დაგვიანებით მოგვმართავენ სიმსივნეებით დაავადებულნი, როდესაც ოპერაციისათვის მისაფერისი დრო უკვე დიდი ხანია ხელიდან არის გაშვებული.

ფილტვების ჩირქოვანი და სიმსივნური პროცესები საკმაოდ რთული დაავადებაა. ასეთ ავადმყოფებს სპეციალური გამოკვლევა და მკურნალობა სჭირდებათ. ამიტომ უმჯობესია, ჩირქოვანი ნახველის გაჩენისთანავე, ისინი, ისევე როგორც ეს სხვა ორგანოების ჩირქოვანი პროცესების დროს ხდება, თავიდანვე ქირურგიულ სტაციონარში მოთავსდნენ. ასევე, თუ რენტგენით გაშუქებისას ფილტვებში საეჭვო ჩრდილი არსებობს და იგი პირველი 2-3 კვირის მკურნალობის შემდეგ მოცულობაში არ კლებულობს, საჭიროა ქირურგის კონსულტაცია, ქირურგიულ სტაციონარში უნდა ვუმკურნალოთ ისეთ დაავადებებსაც, როგორიც არის ფილტვების ექინოკოკი, სპეხტანური ანევმოთორაქსი და სხვ. ეს უკანასკნელი ბოლო ხანებამდე ძირითადად ტუბერკულოზური წარმოშობის დაავადებად მიაჩნდათ, რაც უახლესი გამოკვლევებით არ დადასტურდა.

მეცნიერთა თითქმის მთელი თაობის შრომა იყო საჭირო, რათა ჩვენში დანერგილიყო ფილტვების დაავადებათა გამოკვლევისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. ამჟამად საკითხი ამ მიღწევათა ფართო გამოყენებაზე დგას.

არც თუ ისე მორეულ წარსულში ჩვენ გვჭირდებოდა გვერჩია მოსახლეობისათვის — ავადმყოფობის შემთხვევაში ესარგებლა იმ მიღწევებით, რომლებიც იმ პერიოდში მოპოვებული იყო აპენდიციტის, კუჭის წყლულის, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი და სხვა დაავადებების მკურნალობაში.

მაშინ ამ მიღწევათა პოპულარიზაციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ქალაქების, რაიონებისა და სოფლების მედიცინის მუშაკებმა მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად. ახლა, როცა მათმა რიცხვმა ესოდენ იმატა და საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში მედიცინის კიდევ ერთი ახალი მიღწევის ფართოდ დანერგვას ეხება, იმედია, რომ ისინი ამ საქმეშიც ასეთივე დადებით როლს შეასრულებენ.

აკადემიკოსი **კ. ერისთავი,**
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ო. ბურჯანაძე,
გულმკერდის ქირურგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სტიქიონი ბობოქრობს

სტრომბოლიმ გაიღვიძა

ეტნას ამოფრქვევები შემდეგ გაიღვიძა იტალიის მეორე ვულკანმა სტრომბოლიმ. კვირას, 2 მაისს, როგორც რეტერის სააგენტო იუწყება, დღის მეორე ნახევარში სტრომბოლის კრატერში მოხდა ორი ძლავრი აფეთქება, რომლებსაც თან ახლდა ქვების, ქვიშისა და ფერფლის ამოფრქვევა, ამის შემდეგ ვულკანის თავზე გამოჩნდა ცეცხლოვანი ლავის ენები.

რაც შეეხება ეტნას, ვულკანი კვლავინდებურად განაგრძობს უხვი ლავის ამოფრქვევას.

ბაკაჩოებში

თერჯოლა. (საკ. კორ.). შენდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი დაბა თერჯოლა. მას ამშვენებს კულტურის სახლი, ადმინისტრაციული შენობა შინმოუსვლელთა მონუმენტი, საშუალო სკოლა, სბაკშვო ბაღი, კულტურულ- საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

ახლახან დამთავრდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მთავრდება სადაბო საბჭოს ალმასკომის, 60-ადგილიანი სამშობიაროო სახლის, მუსიკალური სკოლის მშენებლობა. შენდება საავადმყოფო 120 საწოლით, ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის. დაბა თერჯოლა მწვანით შეიმოსა. მარტო საიუბილეოდ აქ ათასობით ძირი მცენარე დარგეს და გაახარეს.

ბევრი რამ შენდება სოფლებშიც. აშენდა ბარდუბნისა და თუზის საოფლო საბჭოების ალმასკომების შენობები, ინველიდთა რესპუბლიკური სახლის ახალი კორპუსი. ქვედა სიმონეთის ამბულატორია. შენდება ღვანყითისა და ზედა საზანოს კოლმეურნეობათა კლუბ-კინტორები, ეწერის რვაწლიანი სკოლა, საკოლმეურნეობათა შორისო მეფრინველეობის ფერმა, წყალსადენები სქოთარაში, ეწერში, ზედა სიმონეთში, ნაგარევში, ჭოგნარში, კვახჭირსა და ჩხარში.

ექვსობრები ზეიმობენ

საბჭოთა საქართველოს დღეები — უცხოეთში

ჩვენი სამშობლოს ნახევარსუკუნოვან იუბილეს დიდი სიყვარულით აღნიშნავენ არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ საზღვარგარეთის 80 ქვეყანაში გაგზავნა ინფორმაციული მასალები — წიგნები, ალბომები, ბუკლეტები, სტატიები, ფოტოგამოფენები, დიაპოზიტივები, კინოფილმები, გრამფირფიტები, ჟედურობისა და კერამიკის ნიმუშები და სხვა მასალები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის მეგობრები ფართოდ იყენებენ საბჭოთა საქართველოს საიუბილეო ზეიმების აღნიშვნისას.

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სირიიდან მიიღეს სირია-სსრ კავშირის საზოგადოების ფურნალი, სადაც დაბეჭდილია წერილი საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ, აგრეთვე იმ გამოფენის ფოტოსურათები, რომელიც საზოგადოების შენობაში გაიხსნა.

გამოფენა მეტად ლამაზად და ორიგინალურად იყო მოწყობილი. ცალკე სტენდები ჰქონდა დათმობილი საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ფოტომასალები სირიელებს აცნობენ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების აყვავებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობოდნენ ქართველ არქიტექტორთა, კერამიკოსთა, ჟედურობის ოსტატთა ნამუშევრებს, რომლებსაც ცალკე კუთხე ჰქონდა დათმობილი. ასევე ყურადღებას იქცევდა ქართულ ხალხურ საკრავთა ნიმუშები, ქართული წიგნები.

საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, გაიმართა აგრეთვე ალეირში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ბაროკოში, პაკისტანში, შვეიცარიაში, დანიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: საბჭოთა საქართველოს დღისადმი მიძღვნილი მასალები, რომლებიც ექსპონირებული იყო სირიაში მოწყობილ გამოფენაზე.

თერთმეტი ხუთიანი

„დინამო“ (თბილისი) — **„არარატი“** (ერევანი) **0:4 (0:1).** თბილისი. 2 მაისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ა. ივანოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — ურუშაძე, კანთელაძე, ებრალიძე, ხუროცლავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტავაძე, ასათიანი (მჭედლიშვილი, მეტრეველი), გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„არარატი“ — ა. აბრამიანი, ავანესიანი, ფ. აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასიანი, ბონდარენკო, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

ორ-ორი გასვლითი თამაშიდან მეტოქეები სხვადასხვა ნადავლით ჩამოვიდნენ თბილისში — „არარატმა“ ოთხიდან ოთხი ქულა აიღო, „დინამომ“ — მხოლოდ ორი. სხვადასხვა იყო ამ გუნდების სატურნირო მდგომარეობაც — ერევნელები ორი საფეხურით მაღლა იდგნენ. გავიხსენოთ ისიც, რომ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ერთბაშად „არარატის“ 3 მთამაშე შეიყვანეს. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახლა „არარატი“ ის გუნდი როდია, როგორსაც მას, ვთქვათ, რამდენიმე წლის წინათ ვიცნობდით.

ცხადია, მატჩისადმი ინტერესიც სწორედ ამან განაპირობა. ვერ ვიტყვით, რომ პირველ 10-15 წუთში რომელიმე გუნდს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე-16 წუთზე ზანაზანიანმა მასპინძელთა კარში ფეიქტური გოლი გაიტანა, ბრძოლა გამწვავდა. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ დინამოელებს ამ დღეს აკლდათ ორი გარემოცული — ძოძუაშვილი და ხინჩაგაშვილი, ხოლო თამაშის დასაწყისშივე ტრავმის შედეგად მოედანი დატოვა ასათიანმა.

მატჩები, გოლები, ავტორები

2 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის კიდევ 7 მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ დედაქალაქის პოპულარულ კოლექტივებს — „დინამოსა“ და „სპარტაკს“. მატჩი ნაკლებად საინტერესო გამოდგა და დამთავრდა ფრედ — 0:0. სპარტაკელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ლოგოფეტმა 11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა—ბურთი ძელს მოახვედრა.

მართალია, ლიდერს — ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ძალიან გაუჭირდა თამაში საკუთარ მოედანზე დეპიუტანტთან — ლვოვის „კარპატთან“, მაგრამ მაინც შეძლო აქტივში 2 ქულის ჩაწერა. იმ ერთადერთი გოლის ავტორი, რომელმაც „ზარიას“ გამარჯვება მოუტანა, იყო ლისაკოვსკი.

კიევში დინამოელები დონეცკს ეწვივნენ და აქ მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „შახტიორთან“. შეხვედრის ბედი აქაც ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. იგი გაიტანა კიეველმა ვერეშეევმა.

ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და ბაქოს „ნეფტჩის“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 1:1. ბურთები გაიტანეს შეკრეკოვმ („ნეფტჩი“) და ჩურკინმა.

მატჩი ტაშკენტში „პახტაკორსა“ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის, ცსკა-ს შორის დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით 3:1. ცსკა-დან გოლების ავტორები იყვნენ კოზინეცოვი, დუდარენკო და დოროფეევი, „პახტაკორიდან“ — ისაკოვი.

ლენინგრადის „ზენიტისა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრა ლენინგრადში დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს მალოფეევმა („დინამო“) და სადირინმა.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და ალმა-ათის „ციალიტის“ მატჩი ალმა-ათაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

სულ მეხუთე ტურში გატანილ იქნა 14 ბურთი.

„ა“ კლასის პირველ ჯგუფში

„ტორპედოს“ მეორე გამარჯვება

საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩი ქუთაისის ტორპედოელებს 3 მაისს საკუთარ მოედანზე ჰქონდათ. მათი მეტოქე იყო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

ანგარიში მე-6 წუთზე ხერხაძემ გახსნა, ამას მოჰყვა ჭოლაძის მეორე გოლი. მართალია, სტუმრებმა ორი გოლითვე უპასუხეს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ფრიდმანმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ტორპედოელებმა მეტად საპიერო ორე ქულა მოიპოვეს, გაიმარჯვეს 3:2.

ტორპედოს შემადგენლობაში იყვნენ: გოგია, ფრიდმანი, წვერავა (აბზიანიძე), ჭოხონელიძე, ჩხაიძე ძაგანია, ერქომაიშვილი, ჭოლაძე, ვეკუა (მაზიაშვილი), ხერხაძე, ხუციშვილი.

სხვა შეხვედრები

„ქალგირისი“ (ვილნიუსი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:1, „დაუგავა“ (რიგა) — „შახტიორი“ ყყარაგანდა) 0:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ეკონგარი“ (ასტრახანი) 3:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ნაპეტროვსკი) 0:1. „კუზბასი“ (კემეროვო) — „მოლოდეი“ (ეიშინოვი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0.

სტარტზეა სპარტაკიადა

მარშალია, საქართველოს მესუთე სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე ჯერ კიდევ ერთი თვე დარჩა, მაგრამ სპორტსმენთა ეს დიდი ფორუმი დღეს აიღებს სტარტს. ხუთი კვირა მოუნდება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობებს, რომლებიც ძირითადად თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართება. ეს იქნება გასული სპარტაკიადიდან დღემდე გაწეული მუშაობის შეჯამება, სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის წინ ძალთა მოსინჯვა.

ყველაზე ადრე ბრძოლაში ჩაებმიან ცხენოსნები და აფრისნები. დღეს თბილისის იპოდრომზე ასპარეზობა ექნებათ ცხენოსნებს. ეს შეჯიბრება 9 მაისამდე გაგრძელდება. აფრისნებიც დღეს დაიწყებენ ასპარეზობას თბილისის ზღვაზე და შეჯიბრებას 11 მაისამდე გააგრძელებენ. ხვალ სტარტს აიღებენ ტანმოვარჯიშეები. გეგონათ და ჭაბუკთა ეს შეხვედრები მოეწყობა განათლების განყოფილების სპორტდარბაზში. მაისში შედგება აგრეთვე შეჯიბრება სამბოში, წყალბურთში, კრივში, თანამედროვე ხუთჭიდში, ტანვარჯიშში (მოზრდილებისათვის).

დანარჩენ სახეობებში შეხვედრები ივნისში გაიმართება.

3. გაბელია.

ერთმეტი ბურთი

ბოლო ოთხ ტურში ბურთი ოთხ-ოთხ ერთეულ ბურთს ინაწილებ-დნენ ერთმანეთს ფეხბურთელები „ა“ კლასის ჯგუფებში. ეს ნიშნავს, ბურთი ბევრ ადგილზე ერბოდა, ბევრ ადგილზე ბურთი ბევრ ადგილზე ბურთი ბევრ ადგილზე ბურთი